საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *გოჩა აბუსერიძის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20
წერის უნარი	18	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5
პროფესიული აქტივობები	4	5
ქულათა ჯამი	90	100

სახელი, გვარი: ირმა გელაშვილი

თარიღი: 28.05.2021

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის N1/134 გადაწყვეტილებით გამოცხადებულ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის

გოჩა აბუსერიძის

შეფასება/დასაბუთება

კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, გავითვალისწინე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოპოვებული ინფორმაცია და კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესში გამოვლენილი გარემოებები.

კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმით:

ა). პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი - მითითებული მახასიათებლების შემოწმებისას გათვალისწინებულია კანდიდატის, როგორც მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სხვ. კოლეგები კანდიდატს ახასიათებენ როგორც გულისხმიერ, კორექტულ, გულწრფელ, თავმდაბალ პიროვნებას. რეკომენდატორები მიუთითებენ, რომ ნებისმიერი, მათ შორის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გოჩა აბუსერიძე არის ზუსტი და თანმიმდევრული.

გოჩა აბუსერიძეს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, დროულად აქვს გადახდილი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმა.

ბ). დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა -კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით, გოჩა აბუსერიძე პრინციპული, ობიექტური, მტკიცე, სამართლიანი და მიუკერძოებელი პიროვნებაა. რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ მას შესწევს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, გოჩა აბუსერიძეს დამაჯერებლად შეუძლია დააფიქსიროს და არგუმენტირებულად დაიცვას საკუთარი მოსაზრება.

გოჩა აბუსერიძე არასდროს ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი ან შემომწირველი. ამასთან, არ არსებობს მტკიცებულება, რომ გადაწყვეტილების გამოტანისას მოსამართლე არ იყო დამოუკიდებელი.

გ). პიროვნული და პროფესიული ქცევა - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით გოჩა აბუსერიძე თავშეკავებული, დინჯი, თავაზიანი, გაწონასწორებული და კომუნიკაბელური პიროვნებაა. კოლეგების თანახმად, მას ნებისმიერ სიტუაციაში შეუძლია მართოს საკუთარი ემოციები. საჯარო მოსმენის პროცესზე კანდიდატი გამოირჩეოდა თავდაჭერილობით, კორექტულობითა და თავაზიანობით. ამასთან, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, გოჩა აბუსერიძე სტაჟირების გავლის პერიოდში დავალების შესრულებისას დაშვებულ უზუსტობაზე მითითებას იღებდა უმტკივნეულოდ, შეეძლო მისი აღიარება და შემდგომში გამოსწორება.

კანდიდატის თაობაზე მოძიებული ინფორმაციით დგინდება, რომ გოჩა აბუსერიძის მიმართ დისციპლინური და/ან სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა. იგი არ ყოფილა წარმოდგენილი მხარედ ან დაზარალებულად.

დ). პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები გოჩა აბუსერიძეს ახასიათებენ მაღალი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მქონე პიროვნებად. კოლეგები აღნიშნავენ, რომ კანდიდატი სარგებლობს პატივისცემით როგორც სასამართლო აპარატსა და კოლეგებში, ასევე, ზოგადად იურიდიულ წრეებში.

ე). ფინანსური ვალდებულება - კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. აქვს მიმდინარე სესხი, მითითებულია „დახურული ვადაგადაცილება", აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. კანდიდატს სრულად და დროულად აქვს გადახდილი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმა.

გოჩა აბუსერიძე ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, არ არსებობს შეუსაბამობა მის შემოსავალს, ფინანსურ ვალდებულებებსა და მის საკუთრებაში არსებულ ქონებას შორის.

კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესსა და მასზე მოპოვებულ მასალებში არ გამოვლენილა კონკრეტული გარემოებები, რაც კეთილსინდისიერების კრიტერიუმით კანდიდატის უარყოფითად შეფასების საფუძველი იქნებოდა,

ამდენად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმით:

სამართლის ნორმების ცოდნა: კანდიდატმა საჯარო მოსმენისას გამოავლინა მატერიალური და საპროცესო სამართლის ცოდნა: ისაუბრა გამოხატვის თავისუფლებაზე, ამერიკულ და ევროპულ მიდგომებზე, ბავშვის უფლებებზე, ყადაღადადებული ქონების აუქციონის გზით გასხვისების შესახებ და სხვა. ასევე, საკუთრების უფლების რეგისტრაციისას, რეგისტრირებული მონაცემების დაზუსტების პროცესში მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ უკვე განხორციელებული პირველადი რეგისტრაციის კანონიერების შემოწმებასთან დაკავშირებით, ხაზი გაუსვა მის მიერ მიღებულ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას საკუთრების უფლებასთან მიმართებით, ისაუბრა ევროპის კავშირის დირექტივების, "რბილი სამართალი" (soft law) მნიშვნელობაზე. საჯარო მოსმენაზე გამოვლინდა გარკვეული ხარვეზებიც, მაგალითისთვის, დისკრიმინაციის აკრძალვის უფლებასთან დაკავშირებით კანდიდატის მსჯელობა არ იყო დამაკმაყოფილებელი.

აღსანიშნავია, რომ კანდიდატი არის მოქმედი მოსამართლე და სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სასამართლო გადაწყვეტილების გაცნობის შემდეგ შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი სწორად იყენებს და განმარტავს სამართლის ნორმებს. რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ გოჩა აბუსერიძე გამოირჩევა სამართლებრივი საკითხების ღრმა და ჯეროვანი ცოდნითა და გააზრების უნარით. იგი სრულფასოვნად ფლობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, გოჩა აბუსერიძის ცოდნა არ შემოიფარგლება სამართლის ერთი კონკრეტული დარგით და იგი საფუძვლიან თეორიულ ცოდნას ფლობს სამართლის სხვადასხვა დისციპლინაში.

სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია: კანდიდატის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ დოკუმენტებში მსჯელობა დასაბუთებული, ლოგიკური და თანმიმდევრულია. სასამართლო გადაწყვეტილების გაცნობის შედეგად დგინდება, რომ დაცულია სამართლიანი სასამართლოს ისეთი აუცილებელი ელემენტი, როგორიც არის დასაბუთებული გადაწყვეტილება. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, გოჩა აბუსერიძეს გააჩნია დასაბუთებული, თანმიმდევრული და ლოგიკური მსჯელობის,

ანალიტიკური აზროვნებისა და მტკიცების უნარი. ერთ-ერთი რეკომენდატორის თანახმად, გოჩა აბუსერიძე გამოირჩევა სამართლებრივი დასაბუთების უნარითა და კომპეტენციით. რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ კანდიდატის მიერ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილების შეცვლის შემდეგ, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლე სრულად რწმუნდება ახალი გადაწყვეტილების სისწორეში.

აღსანიშნავია, რომ გოჩა აბუსერიძის გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობის მაჩვენებელი აღწევს 92,2%-ს.

საჯარო მოსმენის პროცესზე კანდიდატმა სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე საუბრისას გამოავლინა არგუმენტირებული მსჯელობის, სამართლებრივი დასაბუთებისა და აზრის ლოგიკურად ფორმირების უნარი. სამართლებრივი საკითხების განხილვისას კანდიდატი ხელმძღვანელობდა არა მხოლოდ სამართლებრივი ნორმებით, არამედ სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკით. მაგალითად, კანდიდატმა იმსჯელა ადმინისტრაციულ პროცესში პრევენციულ მექანიზმებთან დაკავშირებით და გამოთქვა კრიტიკული მოსაზრება ადმინისტრაციულ პროცესში არსებული მექანიზმების გამოყენების ნაცვლად სამოქალაქო საპროცესო მექანიზმების გამოყენების სასამართლო პრაქტიკის შესახებ. მაგალითად მოიყვანა სამშენებლო კატეგორიის დავები და ის პრაქტიკა, რაც თავად დაამკვიდრა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. კანდიდატმა ასევე მოიხმო ამ საკითხზე უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა, რომელსაც თავად, როგორც იურისტი არ იზიარებს.

საყურადღებოა კანდიდატის მსჯელობა კონსტიტუციურ წარდგინებასთან დაკავშირებით - კანდიდატის თქმით, თავად არასდროს მიუმართავს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის და თუ ნორმატიული აქტი ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, უიშვიათესი გამონაკლისის გარდა, უმჯობესია მოსამართლემ გამოიყენოს კანონის ინტერპრეტაციის სისტემური და ტელეოლოგიური განმარტება, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები და ისე განმარტოს ნორმა, ვიდრე საქმის წარმოების შეჩერებით გააჭიანუროს მართლმსაჯულება. მართალია, სამოსამართლო სამართალი სწორედ ნორმის განმარტების ხელოვნებაში ვლინდება, თუმცა ამგვარი მიდგომა აკნინებს კონსტიტუციური წარდგინების მნიშვნელობას და კონსტიტუციური კონტროლის როლს ქვეყანაში, საერთო სასამართლოს მოსამართლეს კი ფაქტობრივად, ნორმის კონსტიტუციურობის შემოწმების უფლებამოსილებას ანიჭებს, რაც დაუშვებელია.

წერის უნარი: გოჩა აბუსერიძემ წარმოადგინა 4 სამართლებრივი ნაშრომი, მათ შორის 1 სასამართლო გადაწყვეტილება და 3 სამეცნიერო პუბლიკაცია *(The Rights of the Interested Persons According to „Law of Georgia on Enforcement Proceedings", "სასამართლო დავის განახლების თავისებურებანი ადმინისტრაციული კანონმდებლობის მიხედვით" და "პრევენციული დაცვის ღონისძიებები ადმინისტრაციულ სამართალში").* კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების გაცნობის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ გოჩა აბუსერიძე აზრს გადმოსცემს ნათლად და გასაგებად, სამართლებრივ დოკუმენტებს არ ტვირთავს არამიზნობრივი მსჯელობით, რასაც ადასტურებენ კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირებიც.

გოჩა აბუსერიძე ავლენს სამართლებრივი ლექსიკის შესაბამის დონეზე ცოდნას. კანდიდატის მიერ შექმნილი სამართლებრივი დოკუმენტები გამოირჩევა სტილით, ლაკონიურობითა და სტრუქტურით. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით გოჩა აბუსერიძე გამოირჩევა წერის კარგი მანერით და შეუძლია მოამზადოს დასაბუთებული და თეორიულად დამუშავებული გადაწყვეტილება.

ზეპირი კომუნიკაციის უნარი: კანდიდატმა საჯარო მოსმენის პროცესზე გამოავლინა კარგი კომუნიკაციისა და გამართულად მეტყველების უნარი. კანდიდატს აქვს განსხვავებული აზრის მოსმენის უნარი, საუბრობს მშვიდად, გაწონასწორებულად, აზრს გადმოსცემს ნათლად და მკაფიოდ. კოლეგები უთითებენ, რომ გოჩა აბუსერიძე გამოირჩევა ლაკონიური, ლოგიკური და თანმიმდევრული საუბრის მანერით.

პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში: კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები გოჩა აბუსერიძეს ახასიათებენ როგორც პუნქტუალურ და შრომისმოყვარე პიროვნებას, რომელსაც ახასიათებს დამოუკიდებელი აზროვნებისა და სტრესული სიტუაციების მართვის უნარი. ამასთან, გოჩა აბუსერიძის მიერ კანონმდებლობით დადგენილ ვადებში საქმეთა განხილვის მაჩვენებელი 99.6%-ს, ხოლო გადაწყვეტილების მომზადების მაჩვენებელი 57%-ს აღწევს. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, გოჩა აბუსერიძეს საანგარიშო პერიოდში (1029 დღე) დასრულებული აქვს 849 საქმე, დღეში საშუალოდ 0,8 საქმემდე, რაც მიუთითებს კანდიდატის შრომისმოყვარეობასა და დროის სწორად განაწილების უნარზე. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, გოჩა აბუსერიძეს შესწევს უნარი წარმატებით გაართვას თავი მოსამართლის ნებისმიერ საქმიანობას ნებისმიერი დატვირთვის

შემთხვევაში, ხოლო დავალება შეასრულოს ხარისხიანად მაქსიმალურად მცირე დროში.

აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა: კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული სასამართლო სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ არაერთ ღონისძიებაში, მათ შორისაა სემინარები ადამიანის უფლებათა დაცვის, ადმინისტრაციულ სამართალში ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების, სასამართლო პროცესზე კომუნიკაციის სტანდარტების, საარჩევნო დავების გადაწყვეტის შესახებ და სხვ. აღსანიშნავია, რომ კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული ევრაზიის მესამე მულტიდისციპლინარულ ფორუმში თემაზე *„დაინტერესებული პირის უფლებები სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის თანახმად“.*

ამასთან, კანდიდატი არის გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტი და მუშაობს სადისერტაციო ნაშრომზე - „პრევენციული დაცვის ღონისძიებები ადმინისტრაციულ სამართალში“. კანდიდატს გამოქვეყნებული აქვს სამართლებრივი სტატიები ჟურნალებში: „მართლმსაჯულება და კანონი“, „ადვოკატი“ და სხვ.

გოჩა აბუსერიძე იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის II ჯგუფის მსმენელი (2009 წ.), მან იუსტიციის მსმენელთა საერთო საკვალიფიკაციო სიაში დაიკავა 37-ე ადგილი.

პროფესიული აქტივობა: პროფესიული აქტივობის თაობაზე მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი ეწევა სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. გოჩა აბუსერიძე 2017 წლიდან არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის ტრენერი ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მიმართულებით. ამასთან, რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ გოჩა აბუსერიძე ყოველთვის უზიარებს კოლეგებს თავის პროფესიულ გამოცდილებას. საჯარო მოსმენის პროცესზე, კანდიდატმა განაცხადა, რომ სასამართლოს მიმართ ნდობის ასამაღლებლად მას, როგორც რიგით მოსამართლეს, განხორციელებული აქვს რამდენიმე აქტივობა. მაგალითად, ლექტორობის პერიოდში, სტუდენტებისთვის სასამართლოში აწყობდა ვიზიტებსა და დისკუსიებს, რის შემდგომაც, კანდიდატის შეფასებით, რადიკალურად იცვლებოდა სტუდენტთა ნეგატიური დამოკიდებულება სასამართლო სისტემის მიმართ.

კანდიდატის შემაჯამებელი შეფასება:

1. გოჩა აბუსერიძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
2. კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატს ვაფასებ 90 ქულით, კერძოდ:
   2.1. სამართლის ნორმების ცოდნა- 18 ქულა;
   2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 18 ქულა;
   2.3. წერის უნარი - 18 ქულა:
   2.4. ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 14 ქულა;
   2.5. პროფესიული თვისებები, მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში - 14 ქულა;
   2.6. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 4 ქულა;
   2.7. პროფესიული აქტივობა - 4 ქულა.

ირმა გელაშვილი

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

თარიღი: 28.05.2021

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *გოჩა აბუსერიძის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	20
წერის უნარი	20	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	13	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	97	100

სახელი, გვარი: დიმიტრი გვრიტიშვილი

თარიღი: 28.05.2021 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
დიმიტრი გვრიტიშვილი

2021 წლის 28 მაისი, ქალაქი თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 გადაწყვეტილებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - **გოჩა აბუსერიძის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

1.1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 9 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

1.2. საბჭოს 2020 წლის 5 ნოემბრის №1/141 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა 50 პირი, მათ შორის - გოჩა აბუსერიძე. საბჭოს 2021 წლის 5 აპრილის №1/26 განკარგულებით, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართელოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს 2021 წლის 1 აპრილის ორგანული კანონის მე-2 მუხლის საფუძველზე, დადგინდა, რომ ამ პროცედურის ფარგლებში 2021 წლის 6-12 აპრილის პერიოდში მიღებული იქნებოდა დამატებითი განცხადებები. შედეგად, საბჭოს 2021 წლის 15 აპრილის განკარგულებით, ამ პროცედურაში დარეგისტრირდა 2 ახალი კანდიდატი.

1.3. საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ორგანული კანონი) 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია პროცედურაში მონაწილე კანდიდატთა შესახებ, რომელიც გასაცნობად წარმოგვედგინა საბჭოს წევრებს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი წესით. აღნიშნულ ინფორმაციას გავეცანი დეტალურად.

1.4. კანდიდატების საჯარო მოსმენა დაიწყო 2020 წლის 10 დეკემბერს; უშუალოდ გოჩა აბუსერიძის საჯარო მოსმენაც გაიმართა 2020 წლის 10 დეკემბერს, სადაც მივიღე მონაწილეობა და, საბჭოს სხვა წევრებთან ერთად, ვისარგებლე კანდიდატისათვის შეკითხვების დასმის უფლებით.

1.5. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ კანდიდატთა შეფასების წესი განსაზღვრულია ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით; იმისდა

მიხედვით, კანდიდატს გააჩნია თუ არა სამოსამართლო გამოცდილება, შეფასების წესი განსხვავებულია.

ვინაიდან გოჩა აბუსერიძე მოქმედი მოსამართლეა, მისი შეფასება განვახორციელე ორგანული 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით სამოსამართლო გამოცილების მქონე კანდიდატის შეფასებისათვის განსაზღვრული წესით, კერძოდ:

1.5.1. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 36[3] მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5 (ხუთი) მახასიათებლის მიხედვით და, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე, ამ მახასიათებელთა ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე, შევადგინე საბოლოო დასკვნა კანდიდატის კეთილსინდისიერების შესახებ. ცალსახაა კანონმდებლის ნება, რომ შეფასება დაეფუძნოს მონაცემთა ანალიზსა და შეჯერებას; ამდენად, დასკვნა ,,სრულად აკმაყოფილებს" უნდა გაკეთდეს მხოლოდ მაშინ, თუ კანდიდატი მახასიათებლისათვის კანონით განსაზღვრული ყველა კომპონენტის მიხედვით დადებითად ფასდება; თუ კომპონენტებიდან რომელიმეს მიმართ შეფასება უარყოფითია, უნდა გაკეთდეს დასკვნა, რომ კანდიდატი ,,აკმაყოფილებს" მახასიათებელს; ხოლო თუ ორი ან მეტი კომპონენტის შეფასება აღმოჩნდება უარყოფითი, უნდა ჩაითვალოს, რომ კანდიდატი ,,არ აკმაყოფილებს" მახასიათებელს.

1.5.2. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 36[3] მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კომპეტენტურობის კრიტერიუმის 7 (შვიდი) მახასიათებლის მიხედვით, თითოეული მახასიათებლისათვის ორგანული კანონის 36[4] მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული ქულების მინიჭების და თითოეული ამ ქულის დასაბუთების გზით.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

2.1. ***საბჭოს შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია***:

2.1.1. გოჩა აბუსერიძე 47 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (სამართლის მაგისტრი, თსუ). სპეციალობით მუშაობს 21 წელზე მეტია, მათ შორის - მოსამართლედ 11 წელზე მეტი, კერძოდ: 2009 წელს სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებდა სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოში, 2010-2012 წლებში - ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, 2012-2020 წლებში - ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში; ხოლო 2020 წლის 23 მარტიდან გახლავთ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე, საპენსიო ასაკს მიღწევამდე.

2.1.2. რეკომენდატორები გამოარჩევენ კანდიდატის კეთილსინდისიერებას, ობიექტურობას, კორექტულობას, შრომისმოყვარეობას, პრინციპულობას, სამართლიანობას, გულწრფელობას, თავმდაბლობას, წესიერებას, კარგ ანალიტიკურ უნარებს, კანონმდებლობის საფუძვლიან ცოდნას, პასუხისმგებლობის მაღალ გრძნობას, გაწონასწორებულობას და ა.შ.

გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად; რესპოდენტების აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად.

2.1.3. გოჩა აბუსერიძემ მონაწილეობა მიიღო შემდეგ სასწავლო-პროფესიულ ღონისძიებებში:

- „ადამიანის უფლებათა დაცვა"; სემინარი, იუსტიციის უმაღლესი სკოლა. (ქ. თბილისი);

- „ადმინისტრაციულ სამართალში ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბება"; სემინარი, იუსტიციის უმაღლესი სკოლა. (ქ. თბილისი);

- „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეთა განხილვის პრობლემატური საკითხები"; სემინარი, იუსტიციის უმაღლესი სკოლა. (ქ. თბილისი);

- „სასამართლო პროცესზე კომუნიკაციის სტანდარტები"; სემინარი, იუსტიციის უმაღლესი სკოლა. (ქ. თბილისი);

- „სამოსამართლო ქცევა და ეთიკა"; სემინარი, იუსტიციის უმაღლესი სკოლა. (ქ. თბილისი);

- „საოჯახო ურთიერთობიდან გამომდინარე სუსტი მხარის დაცვის თავისებურებანი სასამართლოში"; ესტონეთის განვითარების თანამშრომლობა; ესტონეთი;

- The Rights of the Interested Persons According to ,,Law of Georgia on Enforcement Proceedings" - ევრაზიის მესამე მულტიდისციპლინარული ფორუმი, EMF 2015; საერთაშორისო კონფერენცია;

- საარჩევნო დავების გადაწყვეტა - ტრენინგი.

2.1.4. გოჩა აბუსერიძე ახორციელებს პედაგოგიურ საქმიანობას, კერძოდ:

- 2012-2020 წლებში იყო აკ.წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული სპეციალისტი;

- 2017 წლიდან არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის ტრენერი (მიმართულება: ქალთა წინააღმდეგ ძალადობა და ოჯახში ძალადობა).

2.1.5. კანდიდატს გამოქვეყნებული აქვს სტატიები ჟურნალებში „მართლმსაჯულება და კანონი", „ადვოკატი" და სხვა.

2.1.6. გოჩა აბუსერიძეს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. აქვს მიმდინარე სესხები; აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. კანდიდატს საკუთრებაში აქვს: ბინა (67.1 კვ.მ) ქ. თბილისში და ბინა (34 კვ.მ), ქ.ბათუმში. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის. უძრავი ქონების რეესტრში არ იძებნება ინფორმაცია ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში მითითებული კანდიდატის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლისა (80 კვ.მ.) და მიწის ნაკვეთის (1200 კვ.მ.) შესახებ (სამტრედია, სოფ. საჯავახო).

2.1.7. ბოლო სამი წლის განმავლობაში, გოჩა აბუსერიძე რამდენჯერმე დაჯარიმდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების (საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა) ჩადენისათვის; ჯარიმები გადახდილია დროულად.

მის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა.

კანდიდატი რაიმე საქმეში მხარედ/დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა.

კანდიდატი არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი/შემომწირველი.

2.1.8. კანდიდატმა წარმოადგინა მის მიერ ადმინისტრაციულ საქმეზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება და 3 პუბლიკაცია:

- The Rights of the Interested Persons According to ,,Law of Georgia on Enforcement Proceedings";

ხელმოწერა: 33/14.

- "სასამართლო დავის განახლების თავისებურებანი ადმინისტრაციული კანონმდებლობის მიხედვით";

- "პრევენციული დაცვის ღონისძიებები ადმინისტრაციულ სამართალში".

მათი შესწავლით დავადგინე, რომ გოჩა აბუსერიძე აზრს აყალიბებს მარტივი წინადადებებით და სათანადოდ იყენებს სასვენ ნიშნებსაც.

2.1.9. კანდიდატის, როგორც მოსამართლის საქმიანობის ეფექტურობის შესახებ: 2017 წლის 1 ნოემბრიდან 2020 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდში, გოჩა აბუსერიძემ საქმეთა 99.6% განიხილა საპროცესო ვადების დაცვით; გადაწყვეტილებები ვადის დაცვით მოამზადა 57%-ზე; მისი გადაწყვეტილებები დარჩა უცვლელი საქმეთა 92.2%-ში. საანგარიშო პერიოდში (1029 დღე) მოსამართლეს დასრულებული აქვს 849 საქმე, დღეში საშუალოდ 0,8 საქმე.

2.2. ***კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:***

2.2.1. გოჩა აბუსერიძის საჯარო მოსმენის სრული ვიდეო-ჩანაწერი ყველასათვის ხელმისაწვდომია (იხ: https://www.youtube.com/watch?v=AEkFTA2X0aw). მას საბჭოს წევრებმა დაუსვეს როგორც ზოგადი, ისე - სამართლებრივი შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

2.2.2. შეკითხვებზე კანდიდატის პასუხები, ძირითადად, იყო თანმიმდევრული, დასაბუთებული და ეფუძნებოდა სწორ სამართლებრივ შეფასებებს. თუმცა, იყო შეცდომები/ხარვეზები პასუხების დაახლოებით 20% შემთხვევაში (მაგ: კანდიდატმა სრულყოფილად ვერ ჩამოაყალიბა 2013-2018 წლებში განხორციელებული, პროგრესული სასამართლო რეფორმების შედეგები; ვერ გამოავლინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის სათანადო ცოდნა და ა.შ.).

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

3.1. გოჩა აბუსერიძის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: მე-2 პუნქტი) ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ:

3.1.1. კანდიდატი, როგორც მოსამართლე და მოქალაქე, არის პატიოსანი, კეთილსინდისიერი, აქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, არის სიმართლისმოყვარე; არის კორექტული და ზუსტი სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და ა.შ.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ გოჩა აბუსერიძე სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ,,პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის" მახასიათებელს.

3.1.2. კანდიდატი არის პრინციპული, სამართლიანი, მიუკერძოებელი, პიროვნულად მყარი და შეუვალი, რის გამოც გააჩნია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების და ზეგავლენის მიმართ მედეგობის უნარები.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ გოჩა აბუსერიძე სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ,,დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის" მახასიათებელს.

ხელმოწერა: 33/17.

3.1.3. კანდიდატი იცავს სამოსამართლო ეთიკას, კორექტულია კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, აქვს მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, არის თავდაჭერილი; აქვს საკუთარი ემოციების მართვის უნარი. ამიტომ, დავრწმუნდი, რომ ყველა შესაძლო პროცედურის (დისციპლინური, სისხლის ან სხვაგვარი სამართალწარმოება) დროს, კანდიდატის ქცევა იქნება სათანადო, შექმნილი ფაქტობრივი/სამართლებრივი რეალობის ადეკვატური.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ გოჩა აბუსერიძე სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ,,პიროვნული და პროფესიული ქცევის" მახასიათებელს.

3.1.4. კანდიდატს აქვს მაღალი საქმიანი და მორალური რეპუტაცია/ავტორიტეტი, მისი ურთიერთობის ხასიათი იურიდიულ წრეებთან სრულ შესაბამისობაშია მოსამართლის სტატუსთან; ამ დასკვნის გამაქარწყლებელი ობიექტური ინფორმაცია ან არგუმენტირებული მოსაზრება ჩემთვის უცნობია.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ გოჩა აბუსერიძე სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ,,პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის" მახასიათებელს.

3.1.5. კანდიდატის შემოსავლის წყაროს და ოდენობის, აქტივების, მის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული ქონების და მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ერთობლივად გაანალიზების შედეგად, მივიჩნიე, რომ არ არსებობს წინააღმდეგობა მოსამართლის ქონებრივ ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს საფრთხეს მოსამართლის მიუკერძოებლობისადმი.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ გოჩა აბუსერიძე სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ,,ფინანსური ვალდებულების" მახასიათებელს.

3.2. ვინაიდან კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5-ვე მახასიათებლის მიმართ შევაფასე სრულად დადებითად, საბოლოოდ დავასკვენი, რომ გოჩა აბუსერიძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

4.1. გოჩა აბუსერიძის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: მე-2 პუნქტი) ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ:

4.1.1. ზემოთ, 2.2.2 პუნქტში აღწერილი შეცდომების/ხარვეზების შემთხვევების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი ძალიან კარგად იცნობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობებს, ადამიანის უფლებების სამართალს, მათ შორის - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.

შესაბამისად, გოჩა აბუსერიძე, ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული ,,სამართლის ნორმების ცოდნის" მახასიათებლის მიხედვით, შევაფასე 19 ქულით (ორგანული კანონის 36⁴ მუხლის მე-8 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური ქულის 95%).

4.1.2. კანდიდატს გააჩნია ანალიტიკური აზროვნების, საკუთარი მოსაზრების კარგად დასაბუთების უნარი, რაც ამ მოსაზრებას დამაჯერებლობასაც ანიჭებს. მას ასევე გააჩნია მოსამართლედ მუშაობის დიდი გამოცდილება.

ხელმოწერა:

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ გოჩა აბუსერიძე ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული ,,სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს ორგანული კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური - 20 ქულით.

4.1.3. კანდიდატს გააჩნია აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის კარგი უნარები.

შესაბამისად, გოჩა აბუსერიძე ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული ,,წერის უნარის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს მაქსიმალური - 20 ქულით.

4.1.4. კანდიდატს გააჩნია გამართული მეტყველების, სხვისი აზრის (მათ შორის - განსხვავებული აზრის) მოთმინებით მოსმენის და ღიაობის სათანადო უნარები.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ გოჩა აბუსერიძე ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული ,,ზეპირი კომუნიკაციის უნარის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს ორგანული კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური - 15 ქულით.

4.1.5. კანდიდატი პუნქტუალურია, საქმეებს ამზადებს ჯეროვნად და პასუხისმგებლობით, სასამართლო სხდომას წარმართავს სათანადოდ, მხარეებთან მისი კომუნიკაცია შეესაბამება მოსამართლის მაღალ სტატუსს; გულმოდგინე და შრომისმოყვარეა, გადაწყვეტილებას იღებს დაუხმარებლად და აქვს დამოუკიდებელი აზროვნების კარგი უნარი; აქვს კარგი მენეჯერული უნარები: სტრესულ სიტუაციებს უმკლავდება სათანადოდ, მიზანდასახულია, პროდუქტიულია და მოქმედებს სწრაფად, რაც მას ეხმარება საპროცესო ვადების ზედმიწევნით დაცვაში. თუმცა, გადაწყვეტილებათა მომზადებისას საპროცესო ვადის დარღვევის შემთხვევების ხვედრითი წილიც (43% - იხ: 2.1.9 პუნქტი) გასათვალისწინებელია.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ გოჩა აბუსერიძე ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრული მახასიათებლის - ,,პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში" - მიხედვით უნდა შეფასდეს 13 ქულით (ორგანული კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური ქულის დაახლოებით 86%).

4.1.6. კანდიდატი სიახლეების მიმართ ღიაა, აქვს თვითგანვითარების უნარი, შესაბამისი საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, რისთვისაც ხშირად მონაწილეობს პროფესიული წვრთნის პროგრამებში, ხოლო შეძენილ ცოდნას და უნარებს წარმატებით იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ გოჩა აბუსერიძე ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრული ,,აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს ორგანული კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური - 5 ქულით.

4.1.7. კანდიდატი ხშირად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში, სადაც საკუთარ პოზიციას (შეხედულებებს) გამოხატავს ღიად და თავისუფლად, იჩენს ინიციატივას და აქვს იდეების/წინადადებების წამოყენების უნარი.

ასევე აღსანიშნავია, რომ გოჩა აბუსერიძე ახორციელებს პედაგოგიურ/სამეცნიერო საქმიანობასაც.

ხელმოწერა:

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ გოჩა აბუსერიძე ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-14 პუნქტით განსაზღვრული ,,პროფესიული აქტივობის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს ორგანული კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური - 5 ქულით.

4.1.8. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, საერთო ჯამში, გოჩა აბუსერიძეს ვანიჭებ 97 ქულას.

ხელმოწერა:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *გოჩა აბუსერიძის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	20
წერის უნარი	19	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	13	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	96	100

სახელი, გვარი: ლევან გზირიშვილი

თარიღი: 27.05.2021 წ.

აბუსერიძე გოჩა

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	კანდიდატი არის კორექტული და თავშეკავებული. ის სარგებლობს კარგი პიროვნული და საქმიანი რეპუტაციით კოლეგებს შორის. კანდიდატს აქვს ემოციების მართვის კარგი უნარი, მას შეუძლია მოთმინებით მოისმინოს განსხვავებული მოსაზრება. თავის ფინანსურ თუ სხვა ვალდებულებებს ასრულებს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად. აღსანიშნავია, რომ კანდიდატის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა. კანდიდატი არის მიუკერძოებელი პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით.
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20	კანდიდატი კარგად ფლობს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. ის, ასევე, მან კარგად იცის ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები. კანდიდატი კარგად იცნობს ადამიანის

			უფლებათა ევროპული სასამართლოს, ასევე სხვადასხვა ქვეყნისა და ეროვნულ სასამართლო პრაქტიკას, რასაც შემდგომში იყენებს, როგორც გადაწყვეტილებებში, ისე სამეცნიერო ნაშრომებში.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	20	კანდიდატს გააჩნია ანალიტიკური აზროვნების კარგი უნარი. მისი გადაწყვეტილებები არის თანმიმდევრული და დასაბუთებული, რაც მათ სძენს დამაჯერებლობას. კანდიდატის ავტორობით შედგენილი სტატიები არის მარტივი და გასაგები ენით დაწერილი, ამასთან, აზრი გამოხატულია მკაფიოდ და ლოგიკური თანმიმდევრობით. კანდიდატს აქვს ხანგრძლივი პროფესიული გამოცდილება.
წერის უნარი	19	20	კანდიდატი აზრს გამოხატავს ნათლად და გასაგებად. მას აქვს ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15	კანდიდატს გააჩნია გამართული მეტყველების უნარი, ის თავის მოსაზრებებს აფიქსირებს თანმიმდევრულად და გასაგებად. გასაუბრებით გამოწვეული მღელვარება კანდიდატის საუბარში არ იგრძნობოდა, ის საუბრობდა დამაჯერებლად. მას გააჩნია განსხვავებული მოსაზრების მოთმინებით მოსმენის უნარი.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	13	15	კანდიდატი არის პუნქტუალური და შრომისმოყვარე. ის გულმოდგინედ და ჯეროვნად ასრულებს თავის მოვალეობებს. კანდიდატის მიერ საქმის განხილვის ვადები დაცულია თითქმის სრულყოფილად (99,6%), თუმცა მიზანშეწონილია, კანდიდატმა გააუმჯობესოს გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადების დაცვის მაჩვენებელი (57%).
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5	კანდიდატი არის ღია სიახლეების მიმართ, ის საკმაოდ აქტიურად ეცნობა სასამართლოში მიმდინარე პროცესებსა და სიახლეებს. ასევე, საკანონმდებლო სიახლეებსა თუ სასამართლო პრაქტიკას. კანდიდატი ხშირად ესწრება სხვადასხვა პროფესიულ ტრენინგსა თუ სემინარს. ამასთან, ის არის გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტი.
პროფესიული აქტივობა	5	5	კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული მართლმსაჯულების

			საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო შეხვედრასა თუ სემინარში. ის აგრეთვე ეწევა პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობას. მას გამოქვეყნებული აქვს სხვადასხვა სამართლებრივი სტატია.
ქულათა ჯამი	**96**	**100**	
დასაბუთება			საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებას საფუძვლად უდევს გასაუბრება და მის შესახებ მოძიებული ინფორმაცია, რომელიც მოიცავს სხვადასხვა უწყებიდან გამოთხოვილ და თავად კანდიდატის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, მისი რეკომენდატორებისა და გამოკითხული რესპოდენტების (კანდიდატის კოლეგების) მიერ შევსებულ კითხვარებსა და რეკომენდაციებს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 36[3] მუხლის შესაბამისად ფასდება კანდიდატის კეთილსინდისიერება და კომპეტენტურობა. **<u>კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით</u>** მოსამართლეობის კანდიდატის, გოჩა აბუსერიძის შეფასებისას გაითვალისწინება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები: • *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;* • *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;* • *პიროვნული და პროფესიული ქცევა;* • *პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;* • *ფინანსური ვალდებულება.* **<u>პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი</u>** მოძიებული ინფორმაციის თანახმად, გოჩა აბუსერიძეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. ამასთან, ის ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს თავის ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს. თუმცა, კანდიდატს უფიქსირდება „დახურული ვადაგადაცილება“. გოჩა აბუსერიძე არ არის რეგისტრირებული მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში. ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისიწნებული საგზაო

	მოძრაობის წესების დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმები კანდიდატს დაფარული აქვს დროულად, კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადების დაცვით. ამდენად, შესაძლებელია ითქვას, რომ კანდიდატს სათანადოდ აქვს შეგნებული თავისი პასუხისმგებლობა და ის კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობებს. გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატმა გამოავლინა კორექტულობა, თავშეკავებულობა. თავის მოსაზრებებს ის აფიქსირებდა ღიად და გამჭვირვალედ. **<u>დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა</u>** აღსანიშნავია, რომ კანდიდატის რეკომენდატორები და კოლეგები დადებითად აფასებენ მის პრინციპულობას, სამართლიანობას, დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას. ამასთან, აღნიშნული თვისებები კანდიდატმა გამოავლინა გასაუბრების მიმდინარეობისას, მათ შორის თავისი სამოსამართლო პრაქტიკის მიმოხილვის დროს. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, გოჩა აბუსერიძე არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ანდა შემომწირველი. ამასთან, გასაუბრებაზე მას არ გამოუვლენია რაიმე სახის შეუწყნარებლობა თუ ტენდენციური დამოკიდებულება ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ კანდიდატი არის მიუკერძოებელი პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით. **<u>პიროვნული და პროფესიული ქცევა</u>** კანდიდატს გააზრებული აქვს მისი, როგორც მოსამართლის როლი და პასუხისმგებლობა. ის სათანადოდ იცავს სამოსამართლო ეთიკის ნორმებს. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისა და სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად გოჩა აბუსერიძის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა. კოლეგებთან ურთიერთობაში კანდიდატი არის კორექტული და გაწონასწორებული. მიმაჩნია, რომ მისი ქცევა და რეპუტაცია შეესაბამება მოსამართლის მაღალ წოდებას. საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად კანდიდატი დაზარალებულად წარმოდგენილი არ ყოფილა. მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე გამოვლინდა, რომ გოჩა აბუსერიძის მიმართ სისხლისსამართლებრივი ბრალდება არ ფიქსირდება, ამასთან კანდიდატი სამართლებრივ

	დავაში მხარედ წარმოდგენილი არ ყოფილა. **<u>პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია</u>** გოჩა აბუსერიძე სარგებლობს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით კოლეგებს შორის. კანდიდატის რეკომენდატორები და გამოკითხული კოლეგები მას ახასიათებენ ძალიან კარგად. ისინი გამოარჩევენ კანდიდატის კეთილსინდისიერებას, ობიექტურობას, კორექტულობას, შრომისმოყვარეობას, პრინციპულობას, სამართლიანობას, გულწრფელობას, თავმდაბლობას, წესიერებას, კარგ ანალიტიკურ უნარებს, კანონმდებლობის საფუძვლიან ცოდნასა და ა.შ.. ამასთან, გამოკითხული რესპოდენტები მიიჩნევენ, რომ კანდიდატს არ ახასიათებს რაიმე სახის სისუსტე ან ნაკლოვანება, რომელიც ხელს შეუშლიდა მის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების სათანადოდ განხორციელებას. **<u>ფინანსური ვალდებულება</u>** როგორც უკვე აღინიშნა, გოჩა აბუსერიძე ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს თავის ფინანსურ ვალდებულებებს. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ აღნიშნული გამორიცხავს მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების შედეგად, მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით საფრთხის შექმნის ეჭვს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ასევე კეთილსინდისიერების პრეზუმფციის გათვალისწინებით, რომლის თანახმად მოსამართლე ითვლება კეთილსინდისიერად თუ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის თანახმად არ დადასტურდება მის მიერ რაიმე სახის არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენა, მიმაჩნია, რომ კანდიდატი, გოჩა აბუსერიძე <u>სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს.</u> **<u>კომპეტენტურობის კრიტერიუმების</u>** მახასიათებლებით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები: • *სამართლის ნორმების ცოდნა;* • *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;* • *წერის უნარი;*

	• *ზეპირი კომუნიკაციის უნარი;* • *პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;* • *აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;* • *პროფესიული აქტივობა.* <u>**სამართლის ნორმების ცოდნა**</u> გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატისათვის დასმული სამართლებრივი თუ ზოგადი ხასიათის საკითხებთან დაკავშირებით მისი მსჯელობა იძლევა მისი კომპეტენტურობის კრიტერიუმის სამართლის ნორმების ცოდნის თვალსაზრისით შეფასების საფუძველს. შესაძლებელია ითქვას, რომ კანდიდატი კარგად ფლობს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. გასაუბრების მიმდინარეობისას უმეტესად გამოვლინდა კანდიდატის მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობისა და შესაბამისი ეროვნული თუ საერთაშორისო პრაქტიკის ცოდნის კარგი დონე. ადმინისტრაციული სამართლის სფეროს ირგვლივ დასმული თითოეული საკითხი კანდიდატმა განიხილა სიღრმისეულად და ამომწურავად. ამასთან, თავისი სამოსამართლო პრაქტიკიდან კონკრეტული მაგალითების მოყვანით, რამაც გამოკვეთა კანდიდატის მიდგომა და ხედვები კონკრეტულ სამართლებრივ საკითხებთან მიმართებით. კანდიდატი კარგად ფლობს ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს. შესაძლებელია ითქვას, რომ გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატი ცდილობდა ამომწურავად ემსჯელა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე, რაც მან ძირითადად შეძლო. თუმცა, მიუხედავად ამისა, კანდიდატმა ვერ განავითარა ამომწურავი და სათანადოდ დასაბუთებული მსჯელობა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით. კანდიდატი საკმაოდ აქტიურად და სიღრმისეულად ეცობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, ასევე ეროვნულ და სხვადასხვა ქვეყნის სასამართლო პრაქტიკას. ამგვარი დასკვნის გაკეთების საფუძველს იძლევა კანდიდატის მიერ სამართლებრივ საკითხებზე მსჯელობისას ზემოაღნიშნული სასამართლოების განმარტებებისა და მიდგომების რელევანტური მითითებები.

	საბოლოო ჯამში, გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატისათვის დასმული სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის შეკითხვებთან დაკავშირებით მსჯელობის შედეგად მან დამაკმაყოფილებლად ანდა სრულად ამოწურა კითხვათა საერთო რაოდენობის 90%. **<u>სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია</u>** კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი ნაშრომების გაცნობის შედეგად შესაძლებელია ითქვას, რომ მის მიერ საქმის განხილვის შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილებებსა თუ სამართლებრივ სტატიებში აზრი არის ნათლად და გასაგებად ჩამოყალიბებული, სათანადოდ დასაბუთებული, რაც შედეგად მათ სძენს დამაჯერებლობას. კანდიდატის მიერ გაკეთებული განმარტებები გადაწყვეტილებას ხდის მხარეთათვის გასაგებსა და მარტივად აღქმადს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილებების სტრუქტურა ჩამოყალიბებულია სამოქალაქო სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად და ფორმალურად აკმაყოფილებს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს. კანდიდატის მიერ დაფიქსირებული მოსაზრებების, მოყვანილი არგუმენტებისა და ნორმების ლოგიკური განმარტებების საფუძველზე, მიმაჩნია, რომ მას გააჩნია ანალიტიკური აზროვნების კარგი უნარი. კანდიდატს აქვს 21-წლიანი პროფესიული გამოცდილება, რომელიც მოიცავს 11-წლიან სამოსამართლო გამოცდილებას. მიმაჩნია, რომ მას გააჩნია თავისი გამოცდილების შესაბამისი კომპეტენცია. **<u>წერის უნარი;</u>** კანდიდატის სამართლებრივი ნაშრომების გაცნობის საფუძველზე მიმაჩნია, რომ მას აქვს აზრის ნათლად და გასაგებად დაფიქსირების, ასევე, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. **<u>ზეპირი კომუნიკაციის უნარი;</u>** კანდიდატი თავის მოსაზრებებს გადმოსცემს თანმიმდევრული და გასაგები ენით. ის არის თავდაჯერებული და გაწონასწორებული. მან გამოავლინა განსხვავებული მოსაზრების მოთმინებით მოსმენის უნარი. **<u>პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;</u>**

	კანდიდატი არის პუნქტუალური და შრომისმოყვარე, თავისი მოვალეობების შესრულებას ის ეკიდება სათანადო გულმოდგინებით. კანდიდატს გააჩნია სხდომის სათანადოდ წარმართვის უნარი. მხარეებთან მისი ურთიერთობა შეესაბამება მოსამართლის მაღალ წოდებას. კანდიდატს გააჩნია დამოუკიდებლად აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი. კანდიდატი ძირითადად არის სწრაფი და პროდუქტიული, საქმის განხილვის საპროცესო ვადებს ის იცავს სათანადოდ (99,6%), თუმცა, მიზანშეწონილია კანდიდატმა გააუმჯობესოს მის მიერ განხილულ საქმეებზე გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადების დაცვის მაჩვენებელი (57%). სამოსამართლო გამოცდილების ფარგლებში, კანდიდატი 4 წლის განმავლობაში ასრულებდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარის უფლებამოსილებას, რაც, ვფიქრობ, მეტყველებს კანდიდატის მენეჯერულ უნარ-ჩვევებზე. **<u>აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;</u>** გოჩა აბუსერიძე ხშირად ესწრება სხვადასხვა პროფესიულ სასწავლო შეხვედრას, მათ შორის ტრენინგებსა და სემინარებს. ის ღია არის სიახლეების მიმართ და აქვს თვითგანვითარების უნარი. კანდიდატი აქტიურად და სიღრმისეულად ეცნობა საკანონმდებლო სიახლეებს, ასევე პერიოდულად იღრმავებს პროფესიულ ცოდნას სხვადასხვა ქვეყნის სასამართლო პრაქტიკისა და კანონმდებლობის შესწავლის გზით. კანდიდატი არის გრ. რობაქიძის უნივერსიტეტის დოქტორანტი. **<u>პროფესიული აქტივობა.</u>** გოჩა აბუსერიძე ეწევა სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას. კერძოდ, ის არის სხვადასხვა სამართლებრივი სტატიის ავტორი. კანდიდატი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას აკ.წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და იუსტიციის უმაღლეს სკოლაში.

სახელი და გვარი: ლევან გზირიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი: 27.05.2021 წ.